საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დემეტრაშვილი ავთანდილ ვლადიმერის ძე

ა. დემეტრაშვილი

დემეტრაშვილი ავთანდილ ვლადიმერის ძე (დ. 21. XI. 1941, სოფ. პატარა თონეთი, ახლანდ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), იურისტი, საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი, საქართვ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავ-რე (1996–2001), საქართვ. სახელმწ. საკონსტიტუციო კომისიის თავ-რე (2009-იდან). 2001–04 იყო იუსტიციის საბჭოს წევრი. დაამ- თავრა ქ. პერმის სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1967), მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის ასპირანტურა (1975). 1986-იდან მუშაობს თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტში (კათედრის გამგე, პროფესორი), არის მრავალი სამეცნ. შრომის (მ. შ. 3 მონოგრაფია) ავტორი, კონსტ. სამართლის 2 სახელმძღვანელოს თანაავტორი. მინიჭებული აქვს მოსამართლის უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის სპეც. წოდება და იუსტიციის სახელმწ. მრჩევლის საკლასო ჩინი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.